



# ენერგოდაიჯესტი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო

ანალიტიკური დეპარტამენტი



17.01.2014

№ 2

# სარჩევი

<b>საქართველო.....</b>	<b>3</b>
გარდაბანში კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობა იწყება .....	3
2013 წლის დეკემბრის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები .....	4
<b>რეგიონი .....</b>	<b>5</b>
აზერბაიჯანმა 2013 წელს თითქმის მეოთხედით გაზარდა ელ.ენერჯის ექსპორტი .....	5
სს „სომხეთის ელექტრო ქსელებმა“ ახალ საპილოტე პროგრამა წარადგინა.....	6
სინოპში ასაგებ ბირთვულ სადგურთან დაკავშირებით თანერ ილდიზმა განცხადება გააკეთა .....	6
<b>რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები .....</b>	<b>7</b>
Gazprom-Neft-მა რუსეთში უმსხვილესი პოლიმერ მოდიფიცირებული ბიტუმის ქარხანა შეისყიდა .....	7
რუსეთის მარეგულირებელი ელ.ენერჯის 2014 წლის ფასებს ამტკიცებს.....	8
2013 წელს Gazprom-მა წარმოება 0.1%-ით გაზარდა.....	9
<b>ევროკავშირი .....</b>	<b>10</b>
უნგრეთი რუსეთთან „პაკის“ ბირთვული ენერჯო სადგურის გაფართოების შეთანხმებას დათანხმდა.....	10
სერბეთმა 2013 წელს ელ.ენერჯის წარმოების რეკორდული მაჩვენებელი დააფიქსირა	11
<b>მსოფლიო.....</b>	<b>12</b>
„რუსულ-ირანულმა ნავთობის გარიგებამ შესაძლოა აშშ-ს მხრიდან სანქციები გამოიწვიოს“ - თეთრი სახლი.....	12
ერაყი ქურთისტანის ავტონომიას სანქციებით ემუქრება.....	13
Volkswagen-მა აშშ-ს საავტომობილო ქარხნის უდიდესი მზის ელექტროსადგური გახსნა .....	14
<b>ანალიტიკა .....</b>	<b>15</b>
ბრიტანეთი ევროკავშირის ფიქალის გაზის ახალი კანონმდებლობის მიღების შეჩერებას ლობირებს.....	15

## გარდაბანში კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობა იწყება

17 იანვარს, 12:00 საათზე გარდაბანში „საპარტნიორო ფონდმა“, შვილობილ კომპანი - სს „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციასთან“ ერთად გარდაბნის რაიონში უპრეცედენტო ენერგო პროექტი – გარდაბნის 230 მგვ. სიმძლავრის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მშენებლობა დაიწყო.

მშენებლობის დაწყების საზეიმო ღონისძიებაში მონაწილეობა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ვიცე-პრემიერმა, ენერგეტიკის მინისტრმა კახა კალაძემ, ეკონომიკის მინისტრმა გიორგი კვიციანიშვილმა, „საპარტნიორო ფონდის“ ხელმძღვანელმა ირაკლი კოვზანაძემ, მთავრობის წევრებმა, პარლამენტარებმა, თურქეთიდან მოწვეულმა სტუმრებმა და საქართველოში აკრედიტირებული დიპლომატიური კორპუსისა და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების წარმომადგენლებმა მიიღეს.



გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგური, რომელიც ექსპლუატაციაში 2015 წლის ბოლოდან შევა აღჭურვილი იქნება უახლესი ტექნოლოგიებით, მათ შორის „ჯენერალ ელექტრიკის“ უახლესი ტურბინებით და ადგილობრივ ბაზარს დამატებითი ელექტროენერგიით მოამარაგებს. დამატებით, ქვეყნის ენერგეტიკულ სისტემაში პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში,

გარდაბნის სადგური უმოკლეს ვადებში უზრუნველყოფს სისტემის ელექტროენერგიით უწყვეტ მომარაგებას.

გარდაბნის კომბინირებული ციკლის თბოელექტროსადგურის მარგი ქმედების კოეფიციენტი საქართველოში არსებული ბუნებრივ აირზე მომუშავე სხვა თბოელექტროსადგურებისგან განსხვავებით თითქმის ორჯერ უფრო მაღალი და უფრო ეკონომიური იქნება. მსგავსი მასშტაბის ენერგეტიკული პროექტი დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში პირველად ხორციელდება, რის გამოც მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. გარდაბნის თბოელექტროსადგურის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია იქნება ენერგეტიკულ სისტემაში ყველაზე საიმედო რეზერვი, რომელიც ქვეყნის ენერგო უსაფრთხოებას კიდევ უფრო გაამყარებს.

პროექტის საინვესტიციო ღირებულება 220 მლნ. აშშ დოლარია. იგი ფინანსდება საპარტნიორო ფონდისა და „საქართველოს ნავთობისა და გაზის კორპორაციის“ მიერ, ხოლო სადგურის მშენებლობას უმსხვილესი თურქული კომპანია - ÇALIK ENERJİ ახორციელებს.<sup>1</sup>

## 2013 წლის დეკემბრის თვის ანგარიშსწორების მაჩვენებლები

2013 წლის დეკემბრის თვეში ესკო-ს მეშვეობით შესყიდულმა (გაყიდულმა) საბალანსო ელექტროენერგიის რაოდენობამ 122 825 460.8 კვტ.სთ შეადგინა, რაც აღნიშნულ თვეში ქსელში მთლიანი მიწოდების 14.22%-ს წარმოადგენს. საბალანსო ელექტროენერგიის ღირებულებამ 13 697 291.3 ლარი შეადგინა.

დეკემბრის საბალანსო ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ფასი ერთ კილოვატ საათზე 11.1519956 თეთრი დაფიქსირდა. დერეგულირებული ელექტროსადგურების საბალანსო ელექტროენერგიის ფასმა კი 8.48 თეთრი/კვტ.სთ შეადგინა.

დეკემბრის თვეში ესკომ განახორციელა ელექტროენერგიის იმპორტი რუსეთის ფედერაციიდან და აზერბაიჯანიდან კომერციული ხელშეკრულებებით, ასევე რუსეთიდან იმპორტი განხორციელდა ავარიული ხელშეკრულებითაც. მომწოდებლების წილობრივი მაჩვენებლები საბალანსო ელექტროენერგიის მთლიან მოცულობაში ასეთია: ჰიდროელექტროსადგურები – 4.08%, იმპორტი – 95.92%.

2013 წლის დეკემბერში ესკო-დან საბალანსო ელექტროენერგიის შესყიდვა განახორციელეს გამანაწილებელმა ენერგოკომპანიებმა და პირდაპირმა მომხმარებლებმა.

<sup>1</sup> <http://gogc.ge/ge/page/gardabanshi-kombinirebuli-ciklis-tboeleqtrosadguris-mshenebloba-iwyeba>



მათი წილობრივი მონაწილეობა საბალანსო ელექტროენერჯის შესყიდვაში, შესაბამისად, 71.86%-სა და 28.13%-ს შეადგენს. ამასთანავე, საბალანსო ელექტროენერჯია გატანილ იქნა აზერბაიჯანში და რუსეთის ფედერაციაში ექსპორტის უზრუნველსაყოფად, რაც დეკემბრის თვეში შესყიდული საბალანსო ელექტროენერჯის 0.01%-ს შეადგენს.

დეკემბრის თვეში გარანტირებული სიმძლავრის სამივე წყაროს მიერ ფაქტობრივად უზრუნველყოფილი გარანტირებული სიმძლავრის მთლიანი ღირებულება იყო 3 596 311ლარი, ხოლო გარანტირებული სიმძლავრის შემსყიდველი კვალიფიციური საწარმოების მიერ ყოველ მოხმარებულ კილოვატ საათზე გადახდილმა გარანტირებული სიმძლავრის საფასურმა 0.46393052 თეთრი შეადგინა.<sup>2</sup>

## რეგიონი

### აზერბაიჯანმა 2013 წელს თითქმის მეოთხედით გაზარდა ელ.ენერჯის ექსპორტი

აზერბაიჯანის სახელმწიფო საბაჟო კომიტეტის განცხადების თანახმად, აზერბაიჯანმა 2013 წელს 595.67 მლნ. კვტ.სთ ელ.ენერჯის ექსპორტი განახორციელა, მაშინ როდესაც 2012 წელს ეს რიცხვი 482.2 მლნ კვტ.სთ-ს უდრიდა.

ფულად ღირებულებაში 2013 წლის ექსპორტმა 24.85 მლნ. აშშ დოლარი, ხოლო 2012 წელს 27,76 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა.

სს Azerenergy-მ (აზერბაიჯანში ელექტროენერჯის წარმოებისა და განაწილების კომპანია) 2013 წელს 21.5



მლრდ. კვტ.სთ, ხოლო 2012 წელს 21.3 მლრდ. კვტ.სთ. ელ.ენერჯია აწარმოა.

Azerenergy-ს მფლობელობაში არსებული ელ.სადგურების დადგმული სიმძლავრე 6 000 მგვტ.-ს აღემატება. კომპანიას 500, 330, 220 და 110 კვ.-იანი 200 ქვესადგური აქვს. ასევე, მას 8 ჰიდროელექტროსადგური და 13 თბოელექტროსადგური გააჩნია.<sup>3</sup>

<sup>2</sup> [http://esco.ge/index.php?article\\_id=127&clang=0](http://esco.ge/index.php?article_id=127&clang=0)

<sup>3</sup> <http://en.trend.az/capital/energy/2231707.html>

## სს „სომხეთის ელექტრო ქსელებმა“ ახალ საპილოტე პროგრამა წარადგინა

სს „სომხეთის ელექტრო ქსელებმა“ საზოგადოებას ელექტროენერჯის მოხმარების გამოსათვლელი ახალი საპილოტე პროგრამა წარუდგინა, თუმცა კომპანიის დირექტორის ევგენი ბილინის განცხადებით, ჯერჯერობით ვერ მოხდება მთელი მოსახლეობისთვის ამ გაანგარიშების სისტემაზე გადასვლა.



„მიუხედავად ამისა, ეს ინსტრუმენტი მეტად საინტერესოა. შესაბამისი პარამეტრების მიცემის შემდეგ, სისტემა ითვლის ელ.ენერჯის მოხმარებას და მის ხარჯს დღისა და თვის ჭრილში,“ - აღნიშნავს ბილინი.

მისი მიხედვით, მას შემდეგ, რაც ივლისში ბუნებრივი აირისა და ელ.ენერჯის ფასი გაიზარდა, რთულია იმის თქმა, თუ ენერჯის რომელ წყაროს აირჩევენ მომხმარებლები გასათბობად მიმდინარე პერიოდში, თუმცა ის მაინც ხაზს უსვამს ელ.ენერჯის მოხმარების მოხერხებულობას.

„ელ.ენერჯია პორტატულია. თქვენი სურვილისდა მიხედვით ნებისმიერი ოთახისა და სივრცის გათბობა შეიძლება“ - აღნიშნა ბილინმა.<sup>4</sup>

## სინოპში ასაგებ ბირთვულ სადგურთან დაკავშირებით თანერ ილდიზმა განცხადება გააკეთა

თურქეთის ენერჯეტიკისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრმა თანერ ილდიზმა სინოპში ასაგებ ბირთვულ სადგურთან დაკავშირებით წერილობითი განცხადება გააკეთა. განცხადებაში მოყვანილია ერთ-ერთი იაპონური გაზეთისათვის თანერ ილდიზის მიერ მიცემულ ინტერვიუში გაკეთებული შეფასებები. თურქი მინისტრი აღნიშნავს, რომ მათი სურვილია სინოპში ასაგებ ბირთვულ სადგურში თურქეთის კუთვნილი აქციების რაოდენობა 35-49% იყოს.

განცხადების თანახმად, თურქეთ-იაპონიის მიერ ერთობლივად ასაგებ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის უნივერსიტეტისათვის სტამბოლის აზიის კონტინენტზე 120 ათასი კვადრატული მეტრის ტერიტორიის გამოყოფას გეგმავენ.

აქვე აღნიშნულია, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი ფრანსუა ოლანდი და თურქეთის პრემიერმინისტრი რ. თ. ერდოღანი ამ თვის ბოლოს თურქეთში გასამართ

<sup>4</sup> <http://news.am/eng/news/186339.html>

ორმხრივ შეხვედრებზე იაპონურ-ფრანგული კონსორციუმის მიერ ასაგები ბირთვული სადგურის პროექტზე ერთმანეთს თავიანთ მოსაზრებებს გაუზიარებენ.<sup>5</sup>

## რუსეთის ფედერაცია და დ.ს.თ-ის ქვეყნები

### Gazprom-Neft-მა რუსეთში უმსხვილესი პოლიმერ მოდიფიცირებული ბიტუმის ქარხანა შეისყიდა

Gazprom-Neft-მა სააქციო საზოგადოება „რიაზანის ნავთობქიმიური ექსპერიმენტული ქარხნის“ მფლობელის SYNTAZ OIL LLC-ის საწესდებო კაპიტალის 100% შეიძინა. აღნიშნული აქტივების შეძენა კომპანიას საშუალებას მისცემს გახდეს რუსეთის საგზაო მშენებლობისათვის პოლიმერული ბიტუმის ერთ-ერთი მსხვილი მწარმოებელი.



სააქციო საზოგადოება „რიაზანის ნავთობქიმიური ექსპერიმენტული ქარხანა“ ქვეყანაში ერთ-ერთი წამყვანია პოლიმერ-ბიტუმის მჭიდი მასალების (PBB) წარმოების სფეროში. ქარხანის წარმადობა წელიწადში 60 ათასი ტონაა. 2013 წელს წარმოებამ 25 ათას ტონას მიაღწია. ქარხანა აღჭურვილია მაღალხარისხიანი ბიტუმის მასალების წარმოების, შენახვისა და დატვირთვისათვის საჭირო თანამედროვე მოწყობილობითა და ინფრასტრუქტურით. პროდუქციის ხარისხის კონტროლი უზრუნველყოფილია საკუთარი ლაბორატორიით. ქარხანაში არსებული მექანიზმები მაღალტექნოლოგიური შეფუთვისა და სატვირთო ავტომატქანებზე დატვირთვის საშუალებას იძლევა.

<sup>5</sup> <http://www.trt-world.com/gu/newsDetail.aspx?HaberKodu=e8e17a47-8769-4e0d-ac98-ec66672cef43>

რუსეთის PBB ბაზარმა 2013 წლისათვის დაახლოებით 170 ტონა შეადგინა, რაც 3.5-ჯერ აღემატება 2010 წლის მოცულობას. ამჟამად რუსეთში PBB-ს უდიდესი მომხმარებელი ცენტრალური ფედერალური ოლქია, რომელიც საგზაო მშენებლობაში მთელ რიგ მნიშვნელოვან პროექტებს ახორციელებს.

„ახალი საწარმოს ინტეგრაცია Gazprom-Neft-ს საშუალებას მისცემს გახდეს რუსეთის პოლიმერ-ბიტუმის ბაზრის ლიდერი და უზრუნველყოს ჩვენი კლიენტები თანამედროვე და მაღალი ხარისხის გზების მშენებლობისათვის საჭირო მაღალტექნოლოგიური მასალებით. მაღალი ხარისხის ბიტუმის მასალების წარმოებასა და რეალიზაციას განვიხილავთ, როგორც კომპანიის პოტენციური ზრდის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სფეროს. ექსპერტების ვარაუდით, 2025 წლისათვის ბაზარი 500 ათას ტონას გადააჭარბებს, რაც 3-ჯერ აღემატება დღევანდელ წარმოებას“, - აღნიშნა Gazprom-Neft-ის გენერალური დირექტორის მოადგილემ ლოჯისტიკის, გადამუშავებისა და გაყიდვების საკითხებში ანატოლი ჩერნერმა.<sup>6</sup>

## რუსეთის მარეგულირებელი ელ.ენერჯის 2014 წლის ფასებს ამტკიცებს

რუსეთის ფედერალურმა მარეგულირებელმა, მას შემდეგ, რაც მთავრობამ ქვეყანაში ენერგოსადგურებისთვის „ფასების გაყინვა“ გამოაცხადა, 2014 წლის ელ.ენერჯის საბითუმო ფასების ნიშნულები დაამტკიცა.

„რუსეთის ფედერალური ტარიფების სამსახურმა“ მიიღო სადგურების ფასების დამტკიცების გეგმა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვადასხვა იქნება.



ტარიფები ყოველ მგვტ.-ზე, ელექტრო სადგურების სპეციფიკის მიხედვით, მერყეობს 0.38 აშშ დოლარიდან (ბურეისკას ჰიდროელექტროსადგურზე) 151.42 აშშ დოლარამდე (ვლადივასტოკში მობილურ გენერაციის ობიექტზე). სპეციფიკური ფასები რეგიონების მიხედვით ყოველ მგვტ.-ზე მერყეობს 21.75 აშშ დოლარიდან (შორეული სამხრეთის რეგიონში) 40.99 აშშ დოლარამდე (არხანგელსკის რეგიონი - ჩრდილოეთ რუსეთი).

ტარიფების სამსახურმა დაამტკიცა ასევე იმპორტ-ექსპორტის ფასებიც. კალინინგრადის რეგიონიდან ექსპორტი/იმპორტი - 27.49 აშშ დოლარი/მგვტ, ხოლო შორეული სამხრეთის რეგიონიდან ექსპორტი - 21.75 აშშ დოლარი/მგვტ. ტარიფების

<sup>6</sup> <http://www.gazprom-neft.com/press-center/news/1096869/>



ფედერალური სამსახური არეგულირებს ფასებსა და ტარიფებს რუსეთის ეკონომიკის სხვადასხვა სექტორებისთვის, ელ.ენერჯის გენერაციის სექტორის ჩათვლით.

აღნიშნული სამსახური ყოველწლიურად აწესებს ელ.ენერჯის ფასების ნიშნულს, მაშინ, როცა რუსეთის რეგიონებში ელ.ენერჯის ვაჭრობას თავისუფალ ფასად ძალიან მცირე წილი უჭირავს მთლიან სურათში. ახალი ფასების დაწესება გამოიწვია მთავრობის გადაწყვეტილებამ, სახელმწიფო მფლობელობაში არსებული გენერაციის კომპანიებისათვის „ფასების გაყინვის“ შესახებ, ისევე როგორც გაზისა და რკინიგზის სექტორისათვის.

მიმდინარე თვის დასაწყისში რუსეთის მთავრობამ მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც 2014 წელს ელ.ენერჯიაზე ფასების ზრდა არ მოხდება, თუმცა მონოპოლისტი გადამცემი ხაზის სისტემის ოპერატორი FGC UES-ი უმნიშვნელოდ გაზრდის ფასს გადამცემი ხაზის სარგებლობისთვის.

მთავრობის ზოგიერთი წარმომადგენლის განცხადებით, რომლებიც გარკვეული ჯგუფების ლობირებას ახდენენ, ფასების გაყინვა ზოგიერთი ენერჯო კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას ძირს უთხრის.<sup>7</sup>

## 2013 წელს Gazprom-მა წარმოება 0.1%-ით გაზარდა

რუსულმა გაზის გიგანტმა 2013 წელს წინა წელთან შედარებით 0.1%-ით გაზარდა ბუნებრივი აირის წარმოება, რის შესახებაც ჟურნალისტებს კომპანიის აღმასრულებელმა



დირექტორმა ალექსეი მილერმა განუცხადა. მან ასევე აღნიშნა, რომ ჯამში 2013 წელს კომპანიამ 487.4 მლრდ. კუბ.მ ბუნებრივი აირი აწარმოა - 2012 წელთან შედარებით 400 მლნ. კუბ.მ.-ით მეტი.

„2014 წლის დასაწყისში ევროპიდან მოთხოვნის ზრდა

გრძელდებოდა. 2013 წელს გაზპრომმა კარგ შედეგებს მიაღწია. დღესდღეობით ჩვენს ხელთ არსებული ინფრასტრუქტურა საშუალებას გვაძლევს ვაწარმოოთ 617 მლრდ. კუბ. მ. ბუნებრივი აირი. წინა წელს Gazprom-მა სრულად დააკმაყოფილა ევროპის მოთხოვნა. ასევე, ჩვენ 162.7 მლრდ. კუბ.მ. ბუნებრივი აირი მივაწოდეთ პოსტ-საბჭოთა სივრცეს, რაც 2012-ის მაჩვენებელზე 16%-ით მეტია“ - განაცხადა მილერმა.

<sup>7</sup> NewsBase Energy, CEE/FSU Power Monitor, Issue 696, 15 January 2014, Russia's regulator approves electricity prices for 2014

სიახლეებია ასევე Gazprom-Neft-შიც (Gazprom-ის შვილობილი ნავთობკომპონია), რომელმაც განაცხადა, რომ პირველი საცდელი მოპოვება წარმატებით დაასრულა ერაყში „ბადრას“ საბადოზე. ახლახანს ერაყში მომხდარი ძალადობების და სირიის კრიზისის შემდეგ ექვემდებარება დადგა საბადოს უსაფრთხოება და პროექტის განხორციელება, მაგრამ სიტუაციის განმუხტვის შემდეგ Gazprom-Neft-ი მიმდინარე წლის ბოლომდე კომერციული წარმოების დაწყებას გეგმავს, ხოლო 2017 წლისთვის საბადოდან მოპოვება მაქსიმუმს - დღეში 170 000 ბარელს მიაღწევს.<sup>8</sup>

## ევროკავშირი

### უნგრეთი რუსეთთან „პაკსის“ ბირთვული ენერჯო სადგურის გაფართოების შეთანხმებას დათანხმდა

მას შემდეგ, რაც რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა და უნგრეთის პრემიერმა ვიკტორ ორბანმა მოსკოვში შეთანხმებას ხელი მოაწერეს, რუსეთის სახელმწიფო კომპანია Rosatom-ი უნგრეთის „პაკსის“ ბირთვული სადგურის სიმძლავრეს 2 ჯერ გაზრდის.

რუსეთი, დაპირების მიხედვით, უნგრეთს 10 მილიარდი ევროს ოდენობის 30 წლიან სახელმწიფო სესხს გამოუყოფს 2 ბირთვული რეაქტორის მშენებლობისთვის, რაც ქვეყნის საერთო სიმძლავრეს 2 400 მგვტ-ით გაზრდის. აღნიშნული თანხა სავარაუდოდ პროექტის 80%-ის დაფარვას უზრუნველყოფს, რომლის მთლიანი ღირებულება დაახლოებით 12 მილიარდი ევროა.



უნგრეთის სახელმწიფო მდივნის იანოს ლაზარის ცნობით, ახალი ბლოკის ოპერირება სავარაუდოდ 2023 წელს დაიწყება. მან ასევე აღნიშნა ისიც, რომ ევროკავშირმა უკვე წარმოადგინა ახალი ბლოკების მშენებლობის წინასწარი გეგმა.

„პაკსის“ სადგურის ამჟამინდელი VVER-440 ტიპის 4 რეაქტორი საბჭოთა პერიოდში აშენდა, რომლის სიმძლავრე ჯამურად 2 000 მგვტ-ს შეადგენს. რეაქტორები

<sup>8</sup> <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=693e91a5-9a00-4220-a35d-26da04917b63>  
<http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=a2255fda-7675-41bc-9a7b-d674be386d0e>

1982-1987 წლებში დამონტაჟდა, როცა აღნიშნულ სადგურს საწვავით Rosatom-ის შვილობილი კომპანია TVEL-ი ამარაგებდა.

ორბანმა აღნიშნული შეთანხმება შეაფასა, როგორც „ბრწყინვალე პროფესიონალური შეთანხმება“, თუმცა მისი ეს გადაწყვეტილება უნგრეთში კრიტიკის საგანი გახდა, რადგან იზრდება რუსეთზე ქვეყნის ენერგოდამოკიდებულება. აღნიშნული შეთანხმებით რეაქტორების შესყიდვისთვის საჭირო სატენდერო პროცესების ჩატარებაც მოიაზრებოდა, სადაც სავარაუდოდ 5 საერთაშორისო კომპანია მიიღებდა მონაწილეობას, თუმცა ის აღარ ჩატარდება.

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა იანოს მარტონიმ სამხრეთ კორეელ კოლეგასთან ბირთვულ ენერჯისთან დაკავშირებით ურთიერთთანამშრომლობის შეთანხმებას მოაწერა ხელი, რაც სამხრეთ კორეას რეაქტორების უნგრეთისათვის მიყიდვის პროცესში დაეხმარება.

„პაკის“ ბირთვული სადგური 2011 წელს ქვეყნის ელ.ენერჯის მიწოდების 43%-ს უზრუნველყოფდა. გასული წლის ოქტომბერში, ინდოეთის ბიზნეს ფორუმზე უნგრეთის პრემიერმა განაცხადა, რომ 2023 წლისთვის ქვეყანა ენერჯის მთლიან მიწოდებაში ატომური ენერჯის წილს 50%-75%-მდე გაზრდის.<sup>9</sup>

## სერბეთმა 2013 წელს ელ.ენერჯის წარმოების რეკორდული მაჩვენებელი დააფიქსირა

სერბეთის სახელმწიფო ენერჯო კომპანია Elektroprivreda Srbije-მ (EPS) 2013 წელს ელ.ენერჯის წარმოების რეკორდული მაჩვენებელი გამოაქვეყნა, რაც 37.4 მლრდ.კვტ.სთ-ს შეადგენს. 2012 წელთან შედარებით გამომუშავება 3 მლრდ.კვტ.სთ-ით, ხოლო დაგეგმილთან შედარებით 469 მლნ.კვტ.სთ-ით მეტი იყო. ჰიდროსადგურებმა გამომუშავება წლიდან წლამდე 12.4%-ით - 1 მლრდ.კვტ.სთ-ით გაზარდეს, ხოლო თბოსადგურებმა 9.3%-ით - 2.2 მლრდ.კვტ.სთ-ით.



გამომუშავების ზრდამ EPS-ს საშუალება მისცა ექსპორტიც შესაბამისად გაეზარდა. 2013 წელს კომპანიამ ადგილობრივი ბაზრის გარეთ 3.3 მლრდ.კვტ.სთ ელ.ენერჯია გაყიდა და საექსპორტო შემოსავლებმა 130 მილიონი ევრო შეადგინა.

<sup>9</sup> NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 696, 15 January 2014, Hungary agrees deal with Russia over Paks NPP expansion

EPS-ის ელექტრო სადგურების ჯამური სიმძლავრე 7 120 მგვტ.-ს შეადგენს. აქედან ჰიდროსადგურები - 2 831 მგვტ, ქვანახშირზე მომუშავე თეს-ები 3 936 მგვტ, ხოლო გაზზე მომუშავე თეს-ები 353 მგვტ. ამავე პერიოდში კომპანიის შახტებიდან წარმოებულმა ქვანახშირმა 39.4 მილიონი ტონა შეადგინა.

ამ ეტაპზე კომპანიას არ წარმოუდგენია წლიური ფინანსური შედეგები, მაგრამ მთავარი აღმასრულებლის ალექსანდარ ობრადოვიჩის განცხადებით, სავარაუდოდ კომპანიას 260 მილიონი აშშ დოლარის ზარალი ექნება.

2014 წელს კომპანია გეგმავს დამატებით 1 მილიარდი ევროს ინვესტირებას ახალი ელექტროსადგურებისა და სხვადასხვა შახტების გახსნისთვის, ხოლო დამატებით 3 მილიარდი ევროს ინვესტიციის მოზიდვა მოხდება ჩინეთთან, რუსეთთან, კანადასა და ჩეხეთთან ურთიერთთანამშრომლობის შედეგად.

ობრადოვიჩის განცხადებით, 2014 წელს ელექტროენერგიაზე ფასების ზრდა მოსალოდნელი არ არის. უკანასკნელად ფასები 2013 წლის აგვისტოში გაიზარდა, მოსახლეობისთვის 10.9%-ით, ხოლო ინდუსტრიული სექტორისთვის - 12.8%-ით.

ინდივიდუალური მომხმარებლები ამჟამად ყოველ კვტ.სთ.-ზე 7.3 აშშ ცენტს (დღგ-ს გარეშე) იხდის, ხოლო ბიზნეს სექტორი - 6.9 ცენტს.<sup>10</sup>

## მსოფლიო

### „რუსულ-ირანულმა ნავთობის გარიგებამ შესაძლოა აშშ-ს მხრიდან სანქციები გამოიწვიოს“ - თეთრი სახლი

„მოსალოდნელ გარიგებას „ნავთობი პროდუქციის სანაცვლოდ“ შესაძლოა მხარეების წინააღმდეგ სანქციების ამოქმედება მოჰყვეს“ - აღნიშნა თეთრი სახლის პრეს-მდივანმა.


როგორც პრეს-მდივანმა ჯეი კერნიმ ჟურნალისტებს განუცხადა, „თუ გარიგება წინ წაიწევს, ის სერიოზულ შეშფოთებას გამოიწვევს, რადგან წინააღმდეგობაში მოდის ირანთან არსებულ P5+1 შეთანხმებასთან და ავტომატურად გამოიწვევს შესაბამის სანქციებს აშშ-ს მხრიდან მსგავს ტრანზაქციაში ჩართულ ნებისმიერი ფიზიკური თუ იურიდიული პირის მიმართ“.

<sup>10</sup> NewsBase Energo, CEE/FSU Power Monitor, Issue 696, 15 January 2014, Serbia posts record high electricity output for 2013



გასულ კვირას როიტერის ახალი ამბების საგენტომ მოახდინა ირანული და რუსული წყაროების ციტირება, სადაც ნათქვამია, რომ ორი მხარე ახორციელებს მოლაპარაკებებს გაცვლაზე, რის თანახმადაც რუსული მოწყობილობებისა და საქონლის სანაცვლოდ რუსეთი მიიღებს 500 ათას ბარელ ირანულ ნავთობს.

ვაშინგტონი თვლის, რომ აღნიშნული გარიგება გაზრდის ირანული ნავთობის ექსპორტს, მაშინ როდესაც თეირანის ბირთვულ პროგრამასთან დაკავშირებით აშშ-სა და



ევროპის სახელმწიფოების თაოსნობით დადგენილი სანქციების შესაბამისად ირანს ექსპორტი ნახევარზე მეტად შეუმცირდა - დღეში დაახლოებით 1 მილიონამდე.

P5+1 ჯგუფმა, რომელიც შედგება გაერთიანებული ერების უსაფრთხოების საბჭოს მუდმივი წევრებისა და გერმანიისაგან, ნოემბერში მიაღწია

შეთანხმებას ირანთან ქვეყნის ეკონომიკისათვის საზიანო ეკონომიკური სანქციების შესუსტების სანაცვლოდ თეირანის ბირთვული პროგრამის შეზღუდვის შესახებ.

მიუხედავად ირანის განცხადებისა, რომ ბირთვული პროგრამა მშვიდობიან ხასიათს ატარებს, დასავლეთი შიშობს, რომ აღნიშნული ირანს ბირთვული იარაღის შექმნის საშუალებას მისცემს.

სამშაბათს რუსეთის ენერგეტიკის მინისტრი ალექსანდრე ნოვაკი შეხვდა რუსეთში ირანის ელჩს მეხდი სანაის. საინფორმაციო სააგენტო პრაიმის კორესპონდენტის შეკითხვაზე, განიხილებოდა თუ არა ნავთობის სექტორში ორმხრივი თანამშრომლობა, სამინისტროს პრესსამსახურმა კომენტარზე უარი განაცხადა.<sup>11</sup>

## ერაყი ქურთისტანის ავტონომიას სანქციებით ემუქრება

ერაყის პრემიერი ნური ალ-მალიკი ერაყის ქურთისტანის ავტონომიის ხელმძღვანელობას ეკონომიკური სანქციებით დაემუქრა, თუ თურქეთის გავლით ევროპისათვის ნავთობის მიწოდებას არ შეწყვეტენ.

„თუ ჩრდილოეთ ერაყი თურქეთში ნავთობის გადაზიდვას არ შეწყვეტს, ჩვენ მათ შემოსავალს შევუმცირებთ. ეს კონსტიტუციის დარღვევაა. არც ჩრდილოეთ ერაყს და არც თურქეთს ჩვენ ამის გაკეთების საშუალებას არ მივცემთ. თურქეთი არ უნდა

<sup>11</sup> <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=e5844336-b716-4b96-b10a-2e3a623a679e>

მონაწილეობდეს იმ საქმეში, რომელმაც შესაძლოა ერაყის სუვერენიტეტს მიაყენოს ზიანი.“ - განაცხადა ქვეყნის პრემიერმა.

არსებული ინფორმაციით, აღნიშნულთან დაკავშირებით ერაყის ნავთობის მინისტრმა ჰუსეინ ალ-შეხრისტანმა ბაღდადში თურქეთის საელჩოს დიპლომატიც გააფრთხილა. თურქეთმა და ერაყის ქურთისტანის ავტონომიამ გასული წლის ნოემბერში ნავთობისა და გაზის სფეროში შეთანხმება გააფორმეს, რომლის თანახმადაც ჩრდილოეთ ერაყიდან ნავთობი, თურქეთის გავლით, ევროპის ქვეყნებს უნდა მიეწოდოს. ბაღდადი კი ავტონომიის დამოუკიდებელი გადაწყვეტილებების წინააღმდეგ გამოდის.<sup>12</sup>

## Volkswagen-მა აშშ-ს საავტომობილო ქარხნის უდიდესი მზის ელექტროსადგური გახსნა

Volkswagen-მა აშშ-ში, ტენესის შტატში 13 აკრზე გაშლილი მზის ელექტროსადგური გახსნა, რომელიც იქვე მდებარე Volkswagen-ის ავტომობილის ამწეობ ქარხანას მიაწვდის ელექტროენერგიას. აღნიშნულ ქარხანაში ვოლკსვაგენის Passat-ის მოდელებს აწეობენ. მოცემული სადგური უდიდესია ჩრდილოეთ ამერიკაში, იმ სადგურებს შორის, რომლებიც ავტომობილის მწარმოებელ ქარხნებს აწვდიან ელექტროენერგიას.

სადგურის სიმძლავრე მზიან ამინდში 9.5 მგვტ.-ია და საწარმოს პიკური



დატვირთვის რეჟიმში საჭირო ენერჯის 12.5% გამოიმუშავებს.

Volkswagen-ის სადგური არ არის მსოფლიოში უდიდესი ავტომობილების ინდუსტრიის მზის სადგური. General Motors-ის ქარხანას ესპანეთში, სარაგოსაში, იმავე ქარხნის სახურავზე

განლაგებული, 12 მეგავატის სიმძლავრის სადგური ამარაგებს ელექტროენერგიით. Renault-Nissan-იც გეგმავს მომავლში თავის წარმოებებში მზის ენერჯის გამოყენებას, რომლის ჯამური დადგმული სიმძლავრე 60 მგვტ. იქნება.

Volkswagen-ის მზის სადგური 33 600 ფოტოვოლტური მოდულისგან შედგება, რომლებიც მთელი წლის განმავლობაში 13 100 მგვტ.სთ-ს მიაწვდიან ქარხანას. დასვენების დღეებში, როდესაც ქარხანაში საწარმოო პროცესი არ მიმდინარეობს, მზის სადგური სრულად დააკმაყოფილებს ელექტროენერგიაზე მოთხოვნას. მოცემული სადგური


<sup>12</sup> <http://news.ge/ge/news/story/75914-erayi-qurtistanis-avtonomias-evropisatvis-navtobis-mitsodebis-gamo-sanqtsiebit-emuqreba>

აშენდა Volkswagen-ის ეკოლოგიური პროგრამის ფარგლებში, რომელიც 2018 წლამდე თავისი ქარხნების გარემოზე ზემოქმედების 25%-ით შემცირებას გულისხმობს.<sup>13</sup>

## ანალიტიკა

### ბრიტანეთი ევროკავშირის ფიქალის გაზის ახალი კანონმდებლობის მიღების შეჩერებას ლობირებს

ბრიტანეთმა აქტიურად იმუშავა ევროკავშირის პოლიტიკის გამტარებლებთან და მიაღწია ფიქალის გაზის მოპოვების შესახებ ახალი კანონმდებლობის მიღების პროცესის



შეჩერებას, რომელიც ფიქალის გაზის მოპოვებაზე გარკვეული შეზღუდვების დაწესებას ითვალისწინებდა. ბრიტანეთის მთავრობამ დაარწმუნა ევროკავშირის გარემოსა და კლიმატის კომისიის წევრები, რომ არსებული კანონმდებლობა არ საჭიროებს შეცვლას და ფიქალის რესურსის მოპოვების ტექნოლოგიებზე შეზღუდვების დაწესება არ არის სავალდებულო.

ბრიტანეთის წარმატება განაპირობა მისმა ინიციატივამ, რომლის მიხედვითაც ევროკავშირის წევრმა ქვეყანამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს დააწესოს თუ არა ჰიდრაულიკურ ბურღვით სისტემებზე შეზღუდვები. ეს ფიქალის რესურსის მომხრე

<sup>13</sup> [www.goauto.com.au/mellor/mellor.nsf/story2/0E1EA085785DE918CA257B0100211B86](http://www.goauto.com.au/mellor/mellor.nsf/story2/0E1EA085785DE918CA257B0100211B86)

ქვეყნებს, ბრიტანეთსა და პოლონეთს საშუალებას მისცემს საკუთარი ნორმები დააწესოს ფიქალის გაზის მოპოვების ტექნოლოგიაზე.

ბრიტანეთი აქტიურად უჭერდა მხარს ევროკომისიის პრეზიდენტის ხოსე ბაროზოს პოზიციას, რომელმაც აღნიშნა, რომ არ არსებობს საკმარისი მტკიცებულები ახალი ამკრძალავი კანონმდებლობის მისაღებად.

ფიქალის გაზის მოპოვება ხდება ჰიდრაულიკური საბურღი სისტემების გამოყენებით. მოცემული ტექნოლოგიით წყლის ქვიშის და ქიმიკატების ნარევი მაღალი წნევით შედის ფიქალის ქანებში, რის შედეგადაც გამოიყოფა გაზი და ნავთობი. ევროპის რამოდენიმე ქვეყანაში აღნიშნული მეთოდი ბევრ კითხვას ბადებს გარემოს უსაფრთხოებაზე, კერძოდ კი, მიწისქვეშა წყლების დაბინძურებაზე. მაგალითად, საფრანგეთმა, ჰოლანდიამ და ბულგარეთმა უკვე მიიღეს ფიქალის გაზის მოპოვების ამკრძალავი კანონები, მაშინ როცა ფრანგული ნავთობ გინანტი Total-ი ბრიტანეთში ფიქალის გაზის ინდუსტრიის უდიდესი ინვესტორი კომპანია გახდა.

დიდი ბრიტანეთი დაახლოებით 1300 ტრილიონი კუბური ფუტის ფიქალის გაზის რეზერვს ფლობს. მთავრობა ცდილობს საგადასახადო შეღავათების დაწესებით წახალისოს ფიქალის გაზის მოპოვება, რაც შემადგირებს იმპორტულ გაზზე დამოკიდებულებას და ასევე გააქრობს ჩრდილოეთის ზღვიდან შემცირებული გაზის მოწოდების პრობლემას. პრემიერ მინისტრი დევიდ კემერონი ადგილობრივ ხელისუფლებებს მილიონობით ფუნტის გამოყოფას დაპირდა, თუ ისინი დათანხმდებიან ფიქალის საბადოების განვითარებას.

ცნობისთვის, ზემოთ მოყვანილ სურათზე მწვანე ნიშნით ნაჩვენებია ის ქვეყნები რომლებმაც, არ დაუშვეს ფიქალის რესურსის გამოყენება, წითლით კი - რომლებმაც აკრძალეს.<sup>14</sup>

---

<sup>14</sup> <http://www.hellenicshippingnews.com/News.aspx?ElementId=4616c790-86e6-438b-88de-29d399b74053>